ორგანიზაციის ფსიქოლოგია

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი PhD in Phsychology

3. პროგრამის ხელმძღვანელი: გივი ქირია, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი. ია კუტალაძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: ორგანიზაციის ფსიქოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და განხორციელების კომპეტენციების შეძენა და პროფესიული ჩვევების სრულყოფა.

ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

- სადოქტორო პროგრამის მონაწილეების მეცნიერებად, მკვლევარებად და პრაქტიკოსებად ჩამოყალიბებას
- მეცნიერული კვლევის საფუძველზე, ორგანიზაციაში ადამიანის ქცევისა და ინტერაქციის ბაზისური ცოდნის შეძენას.

სადოქტორო პროგრამის ამოცანებია შემდეგი კომპეტენციების შეძენა:

- კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად წარმოება:
  - ⇒ პრობლემის დასმა, კვლევისათვის ჰიპოთეზების ჩამოყალიბება;
  - ⇒ რელევანტური ლიტერატურის მოძიება და ანალიზი;
  - ⇒ კვლევის დაგეგმვა და ორგანიზება;
  - ⇒ მონაცემთა თვისობრივი და რაოდენობრივი დამუშავება და შედეგების ანალიზი;
  - ⇒ შედეგების პრეზენტაცია (სტატიები, მოხსენებები, სადისერტაციო ნაშრომი).
- ორგანიზაციული კვლევის დაგეგმვა, ორგანიზება; შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია; ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება
- პერსონალის შერჩევის ვალიდური სისტემების შექმნა და შეფასება
- ორგანიზაციული ტრენინგის დაგეგმვა, ჩატარება და შეფასება
- შესრულებული სამუშაოს შეფასების ვალიდური სისტემების შექმნა

- ორგანიზაციული კონფლიქტების და პროფესიული სტრესის პრევენცია, არსებული კონფლიქტების მოგვარება, პროფესიული სტრესის დაძლევის ორგანიზაციული და ინდივიდუალური პროგრამების შემუშავება
- ორგანიზაციული კულტურის კვლევა
- სწავლების მეთოდებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება:
  - ⇒ სწავლების ეფექტური მეთოდების ათვისება;
  - ⇒ კურიკულუმის და კურსის სასწავლო პროგრამის დაგეგმვის და დიზაინის შესწავლა.
- ორგანიზაციის კონსულტანტისატვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ფორმირება:
  - ⇒ პრობლემის იდენტიფიკაცია;
  - ⇒ ეფექტური კომუნიკაცია;
  - ⇒ პრობლემის დაძლევისათვის რეკომენდაციების მიწოდება.

სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდგომ სპეციალისტს უნდა შეეძლოს:

- ფსიქოლოგიის დარგში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და წარმოება;
- სასწავლო კურსის პროგრამის შედგენა და სასწავლო პროცესის წარმართვა.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდგომ დოქტორანტს შეუძლია: სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარმოება, სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა, უმაღლეს სასწავლებელში სწავლება და პროფესიული წვრთნა.

დასაქმების სფეროები – ორგანიზაციის ფსიქოლოგიის დოქტორს აქვს დასქმების ფართო პერსპექტივა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში – უმაღლესი სასწვლებელი, კერძო სტრუტურა, სახელმწიფო უწყება, არასამთვარობო ორგანიზაცია, გამოყენებითი კვლევისა და საკონსულტაციო ორგანიზაცია.

5. მიღების წინაპირობა: მაგისტრის ხარისხი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში, სოციალურ ან ზოგად ფსიქოლოგიაში.